„ეკოსოფლები, როგორც საქართველოს მთის სოფლებში მემკვიდრეობის შენარჩუნების მდგრადი მიდგომა“

მარიამი მიდელაშვილი

“სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად”

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ბახტაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი

თბილისი 2024

განაცხადი

” როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი, მიდელაშვილი, მ. მიდელაშვილი და 24.06.2024“.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ეკოსოფლების კონცეფციის როლის შესწავლას საქართველოს მთის სოფლებში კულტურული და გარემოსდაცვითი მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის. ეკოსოფლები წარმოადგენენ ტრადიციულ ცოდნასა და პრაქტიკებზე დაფუძნებულ მდგრად დასახლებებს, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემების განვითარებასა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნას.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევა, სადაც დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, განხორციელდა როგორც ლიტერატურის ასევე საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა.

კვლევამ გამოავლინა ეკოსოფლების დადებითი როლი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების კუთხით საქართველოს მთის სოფლებში. ნათლად გამოიკვეთა მათი გავლენა ადგილობრივ თემებსა და გარემოს მდგრადობაზე ასევე იდენტიფიცირებულ იქნა ის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელიც ეკოსოფლების განვითარებისთვის არის საჭირო. ამასთანავე, გამოიკვეთა გლობალური გამოცდილების ადაპტაციის საჭიროება საქართველოს მთის სოფლების კონტექსტთან.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, როგორც ეკოსოფლების კონცეფციის დანერგვაში ასევე მათ განვითარებაში. იგი ხელს შეუწყობს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, ადგილობრივი თემების გაძლიერებასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ნაშრომი შემდგომი კვლევებისა და პრაქტიკული ღონისძიებების კუთხით წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს

საკვანძო სიტყვები: ეკოსოფლები, კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი მემკვიდრეობა, მთის სოფლები, მდგრადი განვითარება, საქართველო.

"Eco-Villages as a Sustainable Approach to Heritage Conservation in Mountain Villages of Georgia"

Mariami Midelashvili

Abstract

This master's thesis aims to study the role of the concept of eco-villages in the preservation of cultural and environmental heritage in the mountain villages of Georgia. Ecovillages are sustainable settlements based on traditional knowledge and practices that contributes to the development of local communities and the creation of an ecologically clean environment.

Qualitative research was used as part of the study, where semi-structured interviews were conducted with interested parties. Representatives of non-governmental and governmental organizations, as well as representatives of the field of tourism, participated in the research. In addition, a review of both the literature and the legal framework was carried out.

The study revealed the positive role of eco-villages in terms of cultural and environmental heritage preservation in the mountain villages of Georgia. Their impact on local communities and environmental sustainability was clearly identified, and the main challenges and opportunities needed for the development of ecovillages were identified. At the same time, the need to adapt the global experience to the context of the mountain villages of Georgia was highlighted.

Key words: ecovillages, cultural heritage, environmental heritage, mountain villages, sustainable development, Georgia.